სიტყვების მასაჟი

მოსწავლეები მეწყვილეებს ზურგზე თითით აწერენ სიტყვებს, მეწყვილეები კი ცდილობენ, რომ გამოიცნონ დაწერილი სიტყვა.



კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: წყვილები.

რესურსი: მცირე ზომის სიტყვის ბარათების დასტა.

მსვლელობა

- მასწავლებელი დააწყვილებს მოსწავლეებს და თითოეულ მათგანს აძლევს რამდენიმე სიტყვის ბარათს.
- წყვილიდან ერთი მოსწავლე თავისთვის, ჩუმად წაიკითხავს ბარათზე მოცემულ სიტყვას და მეწყვილეს თითით, ასო-ასო დააწერს ზურგზე. პარტნიორმა უნდა გამოიცნოს დაწერილი სიტყვა.
- ამის შემდეგ მოსწავლეები გაცვლიან როლებს.
- მეწყვილეები აღრიცხავენ (პლუს-მინუსით მონიშნავენ რვეულში) შედეგებს და წარმოადგენენ კლასში. მაგ., ტასომ სწორად გამოიცნო „სახლი“ და „ოთახი“, მაგრამ ვერ გამოიცნო „კიბე“.

შენიშვნა: მასწავლებელი სიტყვებს შეარჩევს გარკვეული პრინციპით. მაგალითად, იმ დღეს აღწერილი სურათის სიტყვებს, შინაური ცხოველების სახელებს, ახლად ან ადრე შესწავლილ სიტყვებს და სხვ.